



სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში
№2, ივლისი, 2017

Student
Journal of
Social Sciences

ირანის როლი სირიის კონფლიქტში

გვანცა შაორშაძე

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელფოსტა: gvantsashaorshadze@ymail.com

ალექსანდრე ეროიანი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

სირიის კონფლიქტი ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხია იმ პრობლემათა შორის, რომელთა წინაშეც დღეს საერთაშორისო საზოგადოება დგას. ის არ ეხება მხოლოდ ერთ სახელმწიფოს, მასში სხვადასხვა ფორმით ჩართულია მრავალი სხვა აქტორი. სირიის საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ისწრაფვიან რეგიონში ჰეგემონობისაკენ, აქვთ საკუთარი ინტერესები სირიაში და ცდილობენ ვითარების მათთვის სასარგებლო მიმართულებით განვითარებას შეუწყონ ხელი. ერთ-ერთი ასეთი სახელმწიფო ირანია, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტად აქტიურდება საერთაშორისო ურთიერთობათა ასპარეზზე და ისწრაფვის, დაიმკვიდროს თავისი ადგილი გლობალურ პოლიტიკაში. ის სირიის კრიზისში გვევლინება ბაშარ-ალ ასადის, პრეზიდენტისა, და მისი ხელისუფლების მხარდამჭერად, კონფლიქტის დაწყებიდან დღემდე. ხშირად ასადის ქმედებები, რომლებიც აგრესიულობით ხასიათდებოდა, საერთაშორისო საზოგადოების მიერ კრიტიკის საგანი ხდებოდა, თუმცა ირანი მის მხარდაჭერას განაგრძობდა.

ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია გამოვკვეთოთ ის მოტივები, რომლებიც ირანს ამომრავებს სირიასთან მიმართებით. ამისათვის განვიხილავთ ირანის ურთიერთობას ამ უკანაკნელთან ისტორიული თავლსაზრისით და გამოვყოფთ მის ინტერესებსა და უშუალო ჩართულობას კრიზისში. სწორედ ამ სამი ძირითადი ნაწილის გამოყოფით ვეცდებით, შევავასოთ ირანის მონაწილეობა და გავაკეთოთ დასკვნა. ჩვენი აზრით, რა თქმა უნდა, ცხადია, ირანის ჩართულობა კონფლიქტში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, თუმცა მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს მისი მონაწილეობის მოტივებზე და ამ მოტივებით განპირობებულ ქმედებებზე. ხაზგასასმელია, რომ ვეცდებით წარმოვაჩინოთ, ირანის კონფლიქტში ჩართულობის კომპლექსური, მრავალმხრივი ხასიათი, რისთვისაც დავეყრდნობით სხვადასხვა ასპექტების განხილვას.

ბოლოს, ვფიქრობთ, ჩვენი ნაშრომი მნიშვნელოვანი იქნება არა მხოლოდ სირიის კონფლიქტის, მასში ირანის ჩართულობაზე წარმოდგენის შექმნის თვალსაზრისით, არამედ ქართულ ენაზე შექმნილი იმ ლიტერატურის გამდიდრებისათვის, რომელიც ჩვენს სახელმწიფოსთან ახლოს მდებარე რეგიონში მიმდინარე პროცესებს მიმოიხილავს.

საკვანძო სიტყვები: სირიის კონფლიქტი, პოლიტიკური ინტერესები, ეკონომიკური ინტერესები, სამხედრო ქმედებები.

Abstract

The Syrian conflict is one of the most acute problems faced by the international community. It does not apply to only one state, many other actors are involved in it in various forms. The Syrian issue is particularly important for those countries that intend to achieve the hegemony in the region, have their own interests in Syria and try to make the situation develop in their favor. One of those states is Iran, which is becoming more and more active in the international arena and is seeking to establish its place in the global politics. Since the conflict began Iran shows its support to the president Bashar Assad of Syria. Assad's actions are often characterized as aggressive and were the subject of criticism by the international community, but Iran continued to support him.

In our point of view, it is important to highlight the motives of Iran in the Syrian conflict. For this we'll take into consideration historical relationship between Iran and Syria, Iran's interests and its direct involvement in the crisis. With these three main parts of our research we will try to evaluate the motives of Iran and make a conclusion. In our view, it is clear, that Iran is an important actor, but it is important to pay attention to the motives it has towards Syria. It should be emphasized that we will try to present Iran's involvement in the conflict in a complex, multi-faceted character, for which we rely on a variety of aspects.

Finally, we believe that our work will be essential not only for making point of view about the Syrian conflict and the involvement in of Iran in it, but also for enrichment literature in Georgian language about the region near our state.

Key Words: Conflict in Syria, political interests, Economic interests, Military actions.

შესავალი

სირიის კონფლიქტი ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და მწვავე საკითხია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში. მასში უშუალოდ მებრძოლი მხარეების გარდა ჩართულნი არიან სხვადასხვა სახელმწიფოები, რომელთაც განსხვავებული ინტერესები და მოტივები ამოძრავებთ. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტორი გახლავთ ირანი, რომელიც სირიაში განვითარებული მოვლენებით დაინტერესებას გამოხატავს კრიზისის პირველივე დღეებიდან და აქტიურ პოლიტიკას ატარებს ამ საკითხის ირგვლივ. ის კონფლიქტში სირიის მმართველი ძალის, პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის მხარდამჭერად გვევლინება.

ირანისა და სირიის კრიზისის საკითხზე არსებული ლიტერატურის გაცნობისას აღმოჩნდა, რომ კვლევები, რომლებიც ყურადღებას გაამახვილებდნენ ირანის სირიის კონფლიქტში ჩართულობის სხვადასხვა ასპექტზე ნაკლებად მოიპოვება. ამასთან, თითქმის არ არსებობს ქართულ ენაზე აკადემიური ნაშრომები ამ თემასთან დაკავშირებით. ერთი მხრივ, თავად საკითხი აქტუალური და საინტერესოა საერთაშორისო დონეზე რადგან ირანის ჩართულობა კონფლიქტში იზრდება. მეორე მხრივ, სირიის კონფლიქტი რეგიონულ დონეზე სულ უფრო და უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება საქართველოსათვის, რადგან მასში ჩვენი მეზობელი სახელმწიფოები არიან ჩართულნი. მართალია, ირანი უშუალოდ არ გვესაზღვრება, თუმცა ის საქართველოსთან საკმაოდ ახლოს მდებარეობს და ჩვენს სამეზობლოში

არსებულ ვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ოფიციალური თეირანის გადაწყვეტილებები და ქმედებები.

კვლევის პრობლემიდან გამომდინარე მიზნად დავისახეთ აღვწეროთ და ავხსნათ ირანის ჩართულობა ირანის კონფლიქტში, რისთვისაც შევცვდებით პასუხი გავცეთ შემდეგ საკვლევ კითხვას: რატომ მონაწილეობს ირანი სირიის კონფლიქტში ბაშარ ალ ასადის ხელისუფლების მხარდასაჭერად? ჩვენი ნაშრომის ფარგლებში სირიის კონფლიქტს განვმარტავთ, როგორც მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტს სირიაში ბაშარ ალ-ასადის ხელისუფლების მხარდამჭერებსა და მათ მოწინააღმდეგებს შორის. ბაშარ ალ-ასადი ხელსუფლების სათავეში 2000 წელს მოვიდა, მისი მმართველობა სასტიკი ქმედებებით ხასიათდებოდა და იწვევდა უკმაყოფილებას, პროტესტს, რამაც კონფლიქტის ესკალაციისათვის შექმნა საფუძველი. ირანის დაინტერესებას ამ კონფლიქტში ჩართულობით განვსაზღვრავთ მისი ჩართულობის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ასპექტებით.

ისტორიულ მიმოხილვას, რომელიც მოიცავს ირანის ისლამური რევოლუციის შემდგომ პერიოდს (1979 წელი), მივმართავთ, რათა უკეთესი წარმოდგენა შევიქმნათ იმ ისტორიულ კონტექსტზე, რომელიც კრიზისის გაღვივების პერიოდისათვის არსებობდა. ვმსჯელობთ ირან-სირიის ურთიერთობებზე ირანის ისლამური რევოლუციის შემდგომ, რადგან ამ მოვლენის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა ქვეყნის განვითარების მიმართულება, ის მოგვევლინა ირანის ისლამურ რესპუბლიკად, რაც უცვლელია ათწლეულების შემდეგაც. ვფიქრობთ, ერთი მხრივ, უშუალოდ ირანის ინტერესების გამოკვეთა, შემდგომ კი მის მიერ განხორციელებული ქმედებების წარმოდგენა შესაძლებლობას მოგვცემს სრულად გავცეთ პასუხი საკვლევ შეკითხვას. თავისთავად, როდესაც გვსურს ვუპასუხოთ კითხვას „რატომ“ , მნიშვნელოვანია უშუალო ინტერესების გამოკვეთა, ხოლო განხორციელებული ქმედებების მიმოხილვა დაგვეხმარება, რომ დავინახოთ რამდენად მნიშვნელოვანია ირანისათვის ის ინტერესები, რომლებიც მას ასადის რეჟიმის მხარდაჭერისაკენ უბიძგებენ.

მივმართავთ თვისებრივ კვლევით მიდგომას, რადგან მას აქვს მოქნილი სტრუქტურა, გვადლევს საშუალებას მოვახდინოთ მიღებული მონაცემების ინტერპრეტაცია, რაც ჩვენი კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანია. ამასთან თავად ჩვენი ნაშრომის არსი ძირითადად მოითხოვს თვისებრივი მონაცემების დამუშავებას, როგორცაა ოფიციალურ პირთა განცხადებები, სტატიები, რომლებსაც გავეცანით სხვადასხვა ინტერნეტ-გამოცემებსა და აკადემიურ ჟურნალებში.

აღნიშნული ნაშრომი განკუთვნილია საერთაშორისო ურთიერთობებით დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის.

ლიტერატურული მიმოხილვა

ირანის სირიის კონფლიქტში ჩართულობით მრავალი მკვლევარია დაინტერესებული. თუმცა, დღეისათვის ღირებული სამეცნიერო კვლევების რაოდენობა, რომლებიც ჩართულობის სხვადასხვა ასპექტზე გაამახვილებდნენ ყურადღებას მცირეა და მათი უმეტესობა არაქართულენოვანია. კვლევის ფარგლებში გავეცანით სხვადასხვა ავტორების სამეცნიერო ნაშრომებს და მათ დასკვნებს. აღსანიშნავია ომების კვლევის ინსტიტუტის ანალიტიკოსების-ფულტონის, ჰოლიდის და უაირის ნაშრომი „ირანის

სტრატეგია სირიაში“. მკვლევრები ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ ირანის სამხედრო მხარდაჭერაზე და ქვეყნის მთავარ საზრუნავად მიიჩნევენ ასადის რეჟიმის შენარჩუნებას. ანალიტიკოსების თქმით, ირანი არავითარ შემთხვევაში არ დათმობს თავის პოზიციებს და ყველაფერს გააკეთებს რეგიონში პოზიციების გასამყარებლად (Fulton, Holliday, Wyer, 2013).

საინტერესო ანალიტიკურ სტატიას აქვეყნებს მეჯიდ რაფიზადე ჟურნალ “Foreign Policy”-ში, სათაურით „ირანის ეკონომიკური ინტერესები სირიაში“. მკვლევარი ხაზს უსვამს სირიისა და ირანის საერთაშორისო ვითარებაზე, კერძოდ იხოლაციაზე, რაც განაპირობებს ამ ორ ქვეყანას შორის აქტიურ ეკონომიკურ ურთიერთობებს. ირანი დიდ ინვესტიციებს ახორციელებს სირიაში, ხოლო სირიის ტერიტორია კარგი ხილია ირანის ბუნებრივი აირის ხმელთაშუა ზღვის რეგიონში მიწოდებისათვის (Rafizadeh, 2013).

კიდევ ერთ საინტერესო ანალიტიკურ სტატიას წარმოადგენს პეტრე დერგაჩევის „რა სურს ირანს სირიაში“. ავტორი პირველ რიგში საუბრობს ირანის დაპიპრისპირებაზე საუდის არაბეთთან და ზუსტად ამ მიზნით ხსნის ირანის ჩართულობას სირიაში. რელიგიურ ფაქტორი, ანალიტიკოსის თქმით, აქ არანაირ მნიშვნელობას არ თამაშობს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ სტატიაში ირანის ერთ-ერთ ინტერესად სახელდება ბრძოლა „ისლამურ სახელმწიფოსთან“, რაც რა თქმა უნდა უფრო და უფრო აქტუალური ხდება დღეისათვის (Дергачев, 2016).

სამივე ავტორი თანხმდება, რომ ირანი ერთ-ერთ წამყვან აქტორს წარმოადგენს სირიის კონფლიქტში. საკითხი სიღრმისეულ და მრავალგანზომილებიან ანალიზს საჭიროებს. თითოეული სტატია სხვადასხვა ფაქტორზე საუბრობს, თუმცა ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი ბევრად კომპლექსურია. პირველი ნაშრომის შემთხვევაში ირანი წარმოდგენილია, როგორც საკმაოდ „პრინციპული“ სახელმწიფო, რომელიც არ არის წამსვლელი არანაირ დათმობებზე. თუმცა 2016 წლის მიწურულს მიღწეული შეთანხმებები ირანის კომპრომისულ პოლიტიკაზე მიგვიბრუნებს. ეკონომიკურ საკითხებზე საუბრისას აუცილებელია პოლიტიკური ინტერესების აღნიშვნა. ვფიქრობთ, ზუსტად პოლიტიკური გადაწყვეტილებები დიდწილად განაპირობებენ ეკონომიკურ თანამშრომლობას. რაც შეეხება ბოლო სტატიას, აქ უგულვებელყოფილია რელიგიური ფაქტორი. თუმცა ირანის მთავრობის ოფიციალური პირების განცხადებებში ხშირად სირია მოიხსენიება როგორც ხიდი ირანსა და ლიბანის შიიტებს შორის.

მეთოდოლოგია

შესავალში აღვნიშნეთ, რომ გამოვიყენებთ თვისებრივ კვლევით მიდგომას, რასაც განაპირობებს თავად იმ საკითხის ხასიათი, რომლის შესწავლაც გვსურს. ვისწრაფვით, რომ ჩვენი ნაშრომის ფარგლებში პასუხი გავცეთ კითხვას, რომელიც გულისხმობს ირანის ჩართულობის კვლევას მამოძრავებელი მოტივების გამოკვეთის მიმართულებით. ამისათვის ყურადღებას ვამახვილებთ მის კონკრეტულ ინტერესებსა და განხორციელებულ ქმედებებზე. ვფიქრობთ, სახელმწიფოთა ინტერესები და მათ მიერ განხორციელებული ქმედებები ორი ისეთი ფენომენია, რომელთა შესწავლა კვლევის მოქნილ სტრუქტურას საჭიროებს. სწორედ ეს უკანასკნელი გვიბიძგებს, უპირველეს ყოვლისა, თვისებრივი მიდგომის გამოყენებისაკენ.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში კი გამოვყოფთ ქეისის შესწავლას, როგორც კვლევით სტრატეგიას. ვკონცენტრირდებით ერთ ომზე (სირიის ომი), რომლის გამოსაკვლევადაც სწორედ ისეთ სტრატეგიას მივიჩნევდით გამართლებულად, რომელიც ამ შემთხვევაზე ფოკუსირებაში დაგვეხმარებოდა და მისი კომპლექსურად შესწავლის საშუალებას მოგვცემდა. საკითხის კომპლექსური შესწავლა კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი ნაშრომისათვის არსებით და მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს.

ძირითადად მივმართავთ გრძივი ქეისის ტექნიკას, რაც გულისხმობს საკითხის შესწავლას დროის სხვადასხვა მონაკვეთში, ეს კი დაგვეხმარება გამოვკვეთოთ სხვადასხვა კრიტიკული ხასიათის მოვლენები და პირობები, რაც მთავარია, მათი გავლენა შედეგზე. ვფიქრობთ, თუკი გვსურს, გამოვიკვლიოთ, რატომ არის ირანი დაინტერესებული ასადის რეჟიმის მხარდაჭერით, კონფლიქტში ირანის ინტერესებისა და მის მიერ განხორციელებული ქმედებების საფუძველზე, ეს აუცილებლად გულისხმობს გარკვეული მოვლენებისა და პირობების გამოკვეთას. ჩვენს შემთხვევაში ინტერესების ცნება უკავშირდება პირობების ცნებას, ხოლო ირანის ქმედებები საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ მნიშვნელოვან მოვლენებზე. ინტერესები და ქმედებები, რომლებიც ურთიერთზემოქმედებენ, გავლენას ახდენენ და განსაზღვრავენ ირანის როლს სირიის კონფლიქტში, რომელიც ჩვენი მთავარი საკვლევი ფენომენია.

გადავწყვიტეთ გარდა გრძივი ქეისისა, გამგვეყენებინა პროცესის მიყოლის ქეისის ტექნიკის გარკვეული უპირატესობები, რაც თავს იჩენს ნაშრომის იმ ნაწილში, რომელიც ეხება ირან-სირიის ურთიერთობების ისტორიულ მიმოხილვას. ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ პროცესის წარმართვის მოკლე წარმოდგენა გამართლებულია, რათა შემდგომ მოხდეს ამ პროცესის წიაღში არსებული ფენომენისა და ირანის ქმედებების კვლევა.

საკითხის შესასწავლად, საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად, გადავწყვიტეთ ძირითადი მასალა მოგვეპოვებინა აკადემიურ ჟურნალებსა და ინტერეტ-გამოცემებში. ამ მასალის საფუძველზე, მიზნად დავისახეთ, უპირველეს ყოვლისა, დაგვედგინა როგორ ვითარდებოდა ირანის ჩართულობა კონფლიქტში, შემდგომ კი მოგვეხდინა მიღებული ინფორმაციის ანალიზი. გამოვყოფდით სხვადასხვა ავტორების მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან და შეფასებებიდან საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს, ვაჯამებდით და ვანალიზებდით მათ კონკრეტულ საკითხებზე ჩვენი მოსაზრების წარმოსადგენად. ვფიქრობთ, განსაკუთრებულ ყურადღება საჭიროებს, ირანის ინტერესების კვლევაზე, რადგან ეს უკანასკნელი შესაძლოა მრავალი შეკითხვის საფუძველი გახდეს. ინტერესების შეფასება სხვადასხვა პირობების გათვალსწინებით ხდება, შესაძლოა ეს პირობები განსხვავებულად აღიქვან განსხვავებულმა სუბიექტებმა. მოვახდინეთ იმ შეფასებათა შეჯამება, ანალიზი, რომლებიც რამდენიმე ავტორს ეკუთვნის, რათა შედარებით ობიექტურ საფუძველზე გამოგვეყო ძირითადი ასპექტები.

ირანი-სირიის ურთიერთობების ისტორიული მიმოხილვა ირანის ისლამური რევოლუციის შემდგომ პერიოდში

სირიასა და ირანს დიდი ხანია საკმაოდ კარგი ურთიერთობები აკავშირებთ. ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ (1979 წელი), სირია იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც აღიარა ახალი მთავრობა. სირიის მაშინდელი პრეზიდენტი ჰაფეზ ასადი გამოსავალს ეძებდა ისრაელსა და ეგვიპტის შორის კემპ-დევიდის შეთანხმების შედეგად მიღებული სიტუაციიდან. სირიასა და ეგვიპტეს შორის კეთილშეზობლური ურთიერთობები ამით დამთავრდა და დამასკო აღმოჩნდა იზოლირებული ერთი მხრივ ისრაელით, მეორე მხრივ - ერაყით, რომლის მეტაური ამბიციური სადამ ჰუსეინი იყო.

ირანიც თავის მხრივ დაინტერესებული იყო სირიასთან კავშირში. მიუხედავად ირან-ერაყის (1980-1988 წწ.) მიმე ომისა, ირანი ცდილობდა გაემყარებინა თავისი პოზიციები მახლობელ აღმოსავლეთში. სირია იყო იდეალური „ხიდი“ ირანსა და ლიბანის შიიტებს შორის. ორივე სახელმწიფო აქტიურად იყო ჩართული ლიბანის სამოქალაქო ომში და ზუსტად ირანის მხარდაჭერით შეიქმნა ჰეზბოლა.

მსგავსი ქმედებებისაგან სირია მხოლოდ იგებდა, რადგან ირანი მნიშვნელოვანი შემაკავებელი ფაქტორი იყო ისრაელისათვის. სირიის გავლით ირანი ამარაგებდა ჰეზბოლას იარაღით, ადამიანური რესურსებითა და ფინანსებით. შემდგომში იმავე გზით მხარს უჭერდა ჰამასს და პალესტინის ისლამურ ჯიხადსაც (Gelbart, 2010, 37-39).

სირიაც ირან-ერაყის ომში არ რჩებოდა ვალში. 80-იანების დასაწყისში სირიელი სპეციალისტები აქტიურად იყვნენ ჩართულები ირანელი სამხედროების წვრთნებში. სირიელები ამარაგებდნენ ბალისტიკური რაკეტებით, მთლიანად გადაკეტეს ერაყის ნავთობის ტრანზიტი. თანამშრომლობა გრძელდებოდა მომდევნო წლებშიც. ირანი ამყარებდა თავის პოზიციებს და მალე ერაყიც აღმოჩნდა ირანის ზეგავლენის ქვეშ (Zerden, 2007, 18-20). თუმცა სიტუაცია შეიცვალა 2011 წელს და ახლა დახმარება უკვე სირიას დასჭირდა, როდესაც აქ დაიწყო პროტესტი პრეზიდენტისა და მთავრობის წინააღმდეგ და შემდგომ ის გადაიზარდა სისხლისმღვრელ დაპირისპირებაში.

ირანის ინტერესები სირიაში

ირანი მნიშვნელოვანი რეგიონული აქტორია, რომელიც ცდილობს მოიპოვოს ლიდერული პოზიცია სხვადასხვა ასპარეზზე. მისი ინტერესები ძირითადად სწორედ მისი პირველობისაკენ სწრაფვას უკავშირდება, როგორც პოლიტიკურ ისე ეკონომიკურ ფლანგზე. ჩვენც ირანის ინტერესებზე მსჯელობისას დავეყრდნობით ხსენებულ ორ ასპექტს: პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს.

ჰეზბოლა, რომელიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს რეგიონში, არის ის სამხედრო და პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ირანის მხარდაჭერით შეიქმნა 1980-იან წლებში ლიბანში. ის ძირითადად მიმართული გახლდათ ისრაელის სახელმწიფოს წინააღმდეგ, რაც უკავშირდებოდა ირანის მისწრაფებებს, რომ დაიმკვიდროს რეგიონული ლიდერის როლი. შემდგომ წლებშიც ირანი აგრძელებდა ჰეზბოლას აქტიურ მხარდაჭერას, რომელსაც სწორედ სირიის გავლით ამარაგებდა (BBC, 2010). შესაბამისად, იმ ფაქტმა, რომ სირიაში ირანის გავლენა ეჭვქვეშ დადგა კრიზისის დაწყების შემდგომ, საფრთხე შეუქმნა ირანის მიერ ჰეზბოლას მხარდაჭერას. უფრო მეტიც, თუკი გავითავლსიწინებთ, რომ სწორედ ირანი გახლავთ ორგანიზაციის მთავარი მხარდამჭერი და მომმარაგებელი, მაშინ ნათელი

გახდება, რომ შესაძლოა, ჰესბოლას არსებობაც ეჭვქვეშ დადგეს, რაც ერაყის დასავლეთით ირანის გავლენას საგრძნობლად შეესუსტებს. 2012 წელს ორგანიზაციის ლიდერი საიდ ჰასან ნასრალაჰი ღიად საუბრობდა ირანის მიერ გაწეულ ფინანსურ და სამხედრო დახმარებასა და მის მნიშვნელობაზე: „ღიად, ჩვენ ვიღებთ მორალურ, პოლიტიკურ და მატერიალურ მხარდაჭერას ირანის ისლამური სახელმწიფოსაგან ყველა შესაძლო ფორმით 1982 წლის შემდგომ“ (Bassam, 2012).

ირანის ინტერესთაგან, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ დაპირისპირება საუდის არაბეთთან. ეს ორი სახელმწიფო მნიშვნელოვან რეგიონულ მოთამაშეებს წარმოადგენენ. ისინი უპირისპირდებიან ერთმანეთს გავლენის სფეროების მოპოვებისათვის. ირანი ცდილობს შიიტთა მობილიზებას, მათ მხარდაჭერას. ეს უკანასკნელნი კი საფრთხეს უქმნიან საუდელთა გაძლიერებას იემენში, ერაყში, პალესტინასა თუ იორდანიაში. ირანსა და საუდის არაბეთს შორის დაპირისპირების ნათელი მაგალითია იემენში განვითარებული მოვლენები, როდესაც სწორედ ირანისა და საუდის არაბეთის მიერ მხარდაჭერილი მხარეები უპირისპირდებიან ერთმანეთს (Fisher, 2016). რაც შეეხება სირიას, ხშირად ის აგრეთვე განიხილება, როგორც პლაცდარმი ირანისა და საუდის არაბეთის დაპირისპირებისათვის. ჩვენთვის ცნობილია, რომ ირანი სირიის პრეზიდენტ ბაშარ-ალ-ასადის ერთგული მხარდამჭერია, რომლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოწინააღმდეგეს ისლამური სახელმწიფო წარმოადგენს. მიმდინარეობს მსჯელობა და გამოითქმის საფუძვლიანი ვარაუდი, რომ საუდის არაბეთი დაემის შემადგენლობაში შემავალ დაჯგუფებებს უწევს დახმარებას, რაც თავისთავად მეტყველებს ორ სახელმწიფოს შორის არსებულ ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენაზე (BBC, 2014).

გარდა პოლიტიკური მიზნებისა, ირანისა და საუდის არაბეთის დაპირისპირება შეგვიძლია, ავსხნათ აგრეთვე, ეკონომიკური ასპექტით. ორივე სახელმწიფო ნავთობის მსხვილი ექსპორტიორია და მათ შორის არსებობს მეტოქეობა ნავთობის ბაზარზე. თუკი სირიაში საუდის არაბეთის მიერ მხარდაჭერილი სახელმწიფოები მოვლენ ხელისუფლების სათავეში, მისი გავლენა ხმელთაშუაზღვისპირეთში გაიზრდება და ირანის საექსპორტო პოტენციალიც შეიზღუდება.

გარდა ზემოხსენებულისა, ირანს სხვა ეკონომიკური ინტერესებიც ამოძრავებს სირიასთან მიმართებით. ის წლების განმავლობაში საკმაოდ დიდ ფულად ინვესტიციას დებდა სირიაში ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. აგრეთვე, გაფორმდა ხელშეკრულება სირიაში ამბოხის დაწყებად რამდენიმე თვით ადრე გაზსადენის მშენებლობის შესახებ, რომელიც ირანული ბუნებრივი აირის ხმელთაშუაზღვისპირეთისა და დასავლეთ ევროპული სახელმწიფოებისათვის მიწოდების შესაძლებლობას შექმნიდა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოეწერა სირიაში კონფლიქტის დაწყებამდე შეეხებოდა დამასკოში საერთო ბანკის დაარსებას, რომლის 60% იქნებოდა ირანის მთავრობის საკუთრება და დიდი იქნებოდა ფინანსური მოგება (Rafizadeh, 2013).

როგორც ვხედავთ, ირანის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები, რომლებიც უკავშირდება ჰესბოლას თუ საუდის არაბეთთან დაპირისპირებას, ემსახურება მის უმთავრეს მისწრაფებას, რომ იყოს ლიდერი და შეინარჩუნოს ეს როლი რეგიონის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ირანის ჩართულობა კონფლიქტში

სირიის კონფლიქტის პირველივე დღიდან, ირანის მთავრობა დიდი ყურადღებით აკვირდებოდა მოვლენების განვითარებას. ჯერ კიდევ 2011 წლის გაზაფხულზე, როდესაც მასშტაბური სამხედრო მოქმედებები არ მიმდინარეობდა, დამასკოში ხშირად ჩადიოდა „ქუდს“-ის და ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის მთავარსარდალი ქასემ სოლეიმანი. მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლების ჩახშობის სტრატეგიის შემუშავება წარმოადგენდა რევოლუციური გვარდიის წამყვანი სახის მისიას. მანამდე ზუსტად სოლეიმანი იყო პუხისმგებელი ირანის ქმედებებზე ერაყში (Bassam and Perry, 2015). სირიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, რომელიც 2012 წელს გაიქცა ქვეყნიდან განაცხადა, რომ სირია „ოკუპირებულია ირანელებით, ქვეყანას მართავს არა ასადი, არამედ ქასემ სოლეიმანი“. ეს განცხადება ხაზს უსვამს ირანის მთავარსარდალობის როლს სირიის კონფლიქტში.

ცნობილია სხვა ირანელი სამხედროების საქმიანობაც სირიაში. 2011-2013 წლებში ქვეყანაში ხშირად იმყოფებოდა მოხსენ ჩიზარი - „ქუდს“-ის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რომელიც სირიის სპეცდანიშნულების არმიის წვრთნების ორგანიზებით იყო დაკავებული. 2013 წლის თებერვალში, დამასკოს მახლობლად ირანის ბრიგადის გენერალი ხასან შატერი მოკლეს (Дергачев, 2016). 2015 წლის ოქტომბერში ალექსო მახლობლად ირანელი გენერალი და სირიის სამთავრობო ჯარების ერთ-ერთი მთავარი სამხედრო მრჩეველი ჰოსეინა ჰამედანი მოკლეს. ამავე თვეში სირიაში, სამხედრო ბრძოლებში ორი ირანელი სამხედრო მაღალჩინოსანი დაიღუპა გენერალ-მაიორი ფარშად გასუნიზადე და ბრიგადის გენერალი ჰამიდ მოჰთარბანდი (Полонский, 2015).

ირანის სამხედრო დახმარება დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. თუმცა, ამით ირანი არ შემოიფარგლა. მხოლოდ 2013 წელს ისლამურმა რესპუბლიკამ გამოყო სირიისთვის კრედიტი 15 მილიარდი დოლარის ოდენობით. ამ ფულით ასადმა სოციალური და სამხედრო სფეროები დააფინანსა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ირანი თავად ძალიან რთულ ვითარებაშია, დასავლური სანქციები, მშპ-ის და ეროვნული ფულადი ერთეულის ვარდნა... ამის ფონზე ირანი კვლავ იბრძვის თავისი ინტერესებისთვის მახლობელ აღმოსავლეთში (Rafizadeh, 2013).

სხვა მნიშვნელოვანი მიმართულება, რომლითაც ირანი ეხმარებოდა სირიას იარაღის მომარაგებას შეეხება. სირიაში გამოჩნდა არა მხოლოდ ირანული მსუბუქი შეიარაღება, არამედ ბალისტიკური რაკეტები და უპილოტო საფრენი აპარატებიც. ტვირთის გადაზიდვა ხდება საჰაერო და საზღვაო გზებით (Дергачев, 2016).

საჯარისო ქვედანაყოფების გამოყენების ნეგატიურმა გამოცდილებამ, აიძულა სირიას ეფიქრა ახალ სტრუქტურაზე, რომელიც უფრო მოქნილი და რაც მთავარია მოხალისეებზე იქნებოდა დაფუძნებული. ასეთი სტრუქტურის შექმნა სირიამ და ირანმა 2011 წელს დაიწყო. შედეგად შეიქმნა ე.წ. „სახალხო არმია“. დღეისათვის ორგანიზაციაში დაახლოებით 100 ათასი ადამიანია. „სახალხო არმიის“ ქვედანაყოფები მძიმე ტექნიკით არიან შეიარაღებულები, რაც საშუალებას აძლევთ ჩანაცვლონ რეგულარული არმია სხვადასხვა მიმართულებებით. 2013 წლიდან ეს ორგანიზაცია გარდაიქმნა „თავდაცვის ეროვნულ ძალებში“ და ირანელები აქტიურად არიან ჩართულები ახალგაზრდა მოხალისეების წვრთნებში. წვრთნები ტარდება როგორც სირიაში, აგრეთვე ირანში.

სირიის მთავრობის დასახმარებლად, ირანი იყენებს კონტროლირებად დაჯგუფებებს. ყველაზე დიდი აქედანჰეზბოლაა. სირიის ტერიტორიაზე ეს დაჯგუფება 2012 წლის გაზაფხულში გამოჩნდა, როდესაც დამასკოში შიიტის საკულტო ადგილის დასაცავად მცირე რაზმი იყო გაგზავნილი. თუმცა 2012 წლის მებრძოლთა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა და მალე ორგანიზაციამ თითქმის დამოუკიდებლად გაათავისუფლა ქალაქი ელ-კუსაირი, რომელიც რელიგიური ექსტრემისტების ხელში იყო. ქალაქის აღებაში დაახლოებით ჰეზბოლის 1000 მებრძოლე იყო ჩართული. მთლიანობაში ორგანიზაციამ დღეისათვის დაახლოებით 2000 მებრძოლე დაკარგა და 5000 დაჭრილია. აღსანიშნავია, რომ „ჰეზბოლას“ სრულად ირანი აფინანსებს (Полонский, 2015).

სირიის კონფლიქტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელშიც ირანი დიდ როლს თამაშობს - სამშვიდობო მოლაპარაკებებია. ზუსტად ირანის, რუსეთისა და თურქეთის დამსახურებაა, რომ 2016 წლის 29 დეკემბრიდან ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება ამოქმედდა, რომელიც დღესაც მეტნაკლებად ჩენარჩუნებულია. მართალია, ამ სამი ქვეყნის ინტერესები თანხვედრაში არ არის, თუმცა კომპრომისის შედეგად რეზულტატი სახეზეა (Тарасов, 2017). მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ირანი თავისი პოზიციების დათმობას არ აპირებს, და როგორც ჰამენეის მრჩეველი საგარეო საქმეებში ალი აკბარ ველაიათიმ 2013 წელს აღნიშნა „სირია არის ოქროს ბეჭედი ისრაელთან წინააღმდეგობის ჯაჭვში. თუ სირიის მთავრობა დასუსტდება, ქვეყანა დაემსგავსება კატარს ან ქუვეითს. ირანი არ არის მზად დაკარგოს წინააღმდეგობის ეს რგოლი“ (Fulton, Holliday, Wyer, 2013).

დასკვნა

ჩვენი ნაშრომის მეშვეობით შევეცადეთ პასუხი გაგვეცა საკვლევ კითხვაზე: რატომ მონაწილეობს ირანი სირიის კონფლიქტში ასადის ხელისუფლების მხარდასაჭერად? საკითხის შესწავლისათვის გამოვყავით ორი ინდიკატორი: ირანის ინტერესები და ჩართულობა კონფლიქტში პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო გაზომილებების გათვალისწინებით.

როგორც ვხედავთ, ირანი ნამდვილად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთამაშეა სირიაში უკანასკნელ წლებში განვითარებულ მოვლენებში. მას აქვს ამბიციური ინტერესები, რომლებიც უკავშირდება რეგიონული ლიდერის როლის მოპოვებასა და შენარჩუნებას და ამას ასადის რეჟიმის მხარდაჭერით განიზრახავს. მისი დაინტერესება კომპლექსური ხასიათისაა და მოიცავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო სფეროებს. ამ ინტერესების დაკმაყოფილებისა და მიზნების მიღწევისათვის ის შესაბამის ქმედებებს ახორციელებს და უშუალოდ ერთვება კონფლიქტის მიმდინარეობაში. ამ უკანასკნელის მიმოხილვამ კარგად დაგვანახა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ირანისათვის საკუთარი მიზნების მიღწევა და ამისათვის როგორ დიდ დახმარებას უწევს პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის რეჟიმს. ვფიქრობთ, ჩვენი კვლევიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ირანის მოტივები და ამ მოტივებით განსაზღვრული ქმედებები მნიშვნელოვნად განაპირობებენ კონფლიქტის გადრეკილებას ხელს. შესაბამისად, ჩვენი აზრით, ირანი ერთ-ერთი ის უმნიშვნელოვანესი აქტორია, რომელსაც შეუძლია აღნიშნული კონფლიქტის გადაწყვეტა.

ბიბლიოგრაფია

- 1) Bassam, Laila. (2012, 2, 7). Hezbollah says gets support, not orders, from Iran. Retrieved from <http://www.reuters.com/article/us-lebanon-hezbollah-idUSTRE81629H20120207>
- 2) Bassam, Laila, and Tom Perry. (2015, 10, 6). How Iranian general plotted out Syrian assault in Moscow. Retrieved from <http://www.reuters.com/article/us-mideast-crisis-syria-soleimani-insigh-idUSKCN0S02BV20151006>
- 3) BBC. (2010, 7,4) *Who are Hezbollah?* Retrieved from http://news.bbc.co.uk/2/hi/middle_east/4314423.stm
- 4) BBC. (2014, 9,1). *Islamic State: Where does jihadist group get its support?* Retrieved from <http://www.bbc.com/news/world-middle-east-29004253>
- 5) Fisher, Max. (2016, 19, 11). How the Iranian-Saudi Proxy Struggle Tore Apart the Middle East. Retrieved from https://www.nytimes.com/2016/11/20/world/middleeast/iran-saudi-proxy-war.html?_r=1
- 6) Fulton, Will, Holliday Joseph and Sam Wyer. (2013). *Iranian strategy in Syria*. Retrieved from <http://www.understandingwar.org/sites/default/files/IranianStrategyinSyria-1MAY.pdf>
- 7) Gelbart, Jonathan. (2010). The Iran-Syria Axis: A Critical Investigation. *Stanford Journal of International Relations*. Retrieved from https://web.stanford.edu/group/sjir/12-1/fall10-final_5.pdf .
- 8) Rafizadeh, Majid. (2013, 1, 4). Iran's economic stake in Syria. Retrieved from <http://foreignpolicy.com/2013/01/04/irans-economic-stake-in-syria/>
- 9) Zerden, Alex Benjamin. (2007). Syrian Foreign Policy Toward Iran: A Strategic Relationship or Tactical Convergence? *NIMEO Insight*. Retrieved from http://tigrarchives.org.s3.amazonaws.com/sites/default/files/resources/nimep/v3/syrian_foreign_policy.pdf
- 10) Дергачев, Петр. (2016, 1,8). Под чалмой аятоллы: что нужно Ирану в Сирии. Retrieved from <https://ruposters.ru/news/08-02-2016/iran-syria>
- 11) Полонский, Илья. (2015,10,15). Иран в сирийском конфликте. Противостояние с Саудовской Аравией и интересы шиитов. Retrieved from http://www.iran.ru/news/analytics/98843/Iran_v_siriyskom_konflikte_Protivostoyanie_s_Saudovskoy_Araviey_i_interesy_shiitov
- 12) Тарасов, Станислав. (2017,1,20). Союз России, Ирана и Турции испытывается на прочность. Retrieved from <https://regnum.ru/news/polit/2229316.html>